ოქმი №1

აბაშის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა.

აბაშა 2022 წლის 2 დეკემბერი

2022 წლის 2 დეკემბერს ჩატარდა აბაშის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიგა გაბელაია და საბჭოს წევრები: ველოდი ოჩიგავა, ზაურ თელია, ცისანა ხევსურიანი, რაფიელ მელაძე, ნანა კილასონია, ნინო ცომაია, კობა ჩაგანავა და ალექსანდრე ჩაგანავა. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა აზა კუცია, არკადი კიზირია, გურამ თოფურია. სხდომას მოწვევით ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ირაკლი პერტენავა და გიგლა ჯვარელია, მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსები – თეიმურაზ ნოდია, მამუკა თელია, დიმიტრი ცანავა და ლევან მელაძე.

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა;
3. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

სხდომა გახსნა და დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა გიგა გაბელაია, რომელმაც აღნიშნა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის და მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. მან ისაუბრა ასევე საბჭოს საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებზე, დასასრულს წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა საბჭოს წევრებს დასახული ამოცანების შესრულებაში. ამის შემდგომ ჩატარდა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები. თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელდა ზაურ თელია. შეიქმნა ხმის დამთვლელი დროებითი კომისია 3 წევრის: ველოდი ოჩიგავას, რაფიელ მელაძის და ნანა კილასონიას შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით და ხმების უმრავლესობით საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზაურ თელია. საბჭოს მდივნად დასახელდა ნანა კილასონია, რომელიც ღია კენჭისყრით ერთხმად იქნა არჩეული.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ. (მომხს. ზაურ თელია, საბჭოს თავმჯდომარე).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი გასაცნობად წინასწარ გადაეცათ საბჭოს წევრებს; ამის შემდეგ საბჭოს წევრებს წინადადება მისცა, რომ გამოეთქვათ თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. საბჭოს წევრების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ ბიუჯეტის პროექტის პარამეტრებთან

დაკავშირებით ჯერ კონკრეტული ინფორმაციები მოესმინათ უშუალოდ დარგის კურატორი ხელმძღვანელი პირისა და ასევე ცალკეული სამსახურების უფროსებისაგანაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს ამომწურავი ინფორმაციები მიაწოდეს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ირაკლი პერტენავამ, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ნოდიამ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა მამუკა თელიამ. ინფორმაციების მიღების შემდგომ, ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებები გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: რაფიელ მელაძემ, ზაურ თელიამ, ნანა კილასონიამ, ნინო კუციამ, ველოდი ოჩიგავამ, კობა ჩაგანავამ, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს მოსახლეობის სოციალური პროგრამების გაუმჯობესებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით დამატებითი დაფინანსების აუცილებლობაზე, რაც უმთავრესად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზევე გაკეთდა განმარტება, რომ ასეთის მიღწევა შესაძლებელი შეიძლება გახდეს მიმდინარე წლის საბიუჯეტო ეკონომიით მიღებული ნაშთის გათვალისწინებით; საბოლოოდ, საბჭოს წევრების მიერ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი მოწონებული იქნა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მომავალში უფრო აქტიურად ჩაერთვება ბიუჯეტის მომზადებისა და მისი განხილვის პროცესში, რაც კვლავაც მოსახლეობის კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული;

გადაწყვიტეს:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი მოწონებული იქნეს.
2. საბჭომ თავისი საქმიანობა მომავალშიც წარმართოს დებულებით მასზე მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ზაურ თელია

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: ნ. კილასონია ნანა კილასონია